ქალაქ თბილისის
მუნიციპალიტეტის საკრებულო

# განკარგულება № 483

"18" დეკემბერი 2015 წ

ქ. თბილისი

**ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომის დასახლებაში, IV მიკრო რაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის შეთანხმების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლის, ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების" 25-ე, 26-ე მუხლების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2015 წლის 19 ნოემბრის №53 ოქმის და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2015 წლის 7 დეკემბრის №04/22068 წერილის (AR1357217) შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეთანხმებულ იქნეს ქ. თბილისში, საბურთალოს რაიონში, დიდი დიღომის დასახლებაში, IV მიკრო რაიონის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურის ელექტრონულ გვერდზე www.tas.ge რეგისტრირებული AR1357217 განაცხადის შესაბამისად (იხ. თანდართული უფლებრივი ზონირების რუკა).
2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ არქიტექტურის სამსახურს.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი


უფლებრივი ზონირების დეტალური რუკა მ 1:1000
N
W
E
S
სექტორი № 1
3160 მ²
სექტორი № 2
2676 მ²
სექტორი № 3
220 მ²
სექტორი № 4
1275 მ²
ბაგა ბაღი
საცხოვრებელი ზონა
საცხოვრებელი ზონა 6
ბლოკი №7
ლორძლა ხაზი
A1
A2
A3
A4
B1
B2
B3
B4
B5
B6
C2
C3
C4
C5
D1
D2
D3
7333 მ²
ფუნქციური ზონები
სექტორი 1 - საცხოვრებელი
სექტორი 2 - საცხოვრებელი
სექტორი 3 - ბაგა ბაღი
სექტორი 4 - საცხოვრებელი
პირობითი ნიშნები
A-3
შპს "IMD"
უფლებრივი ზონირების დეტალური რუკა
07.2015.
24